შეფარდებითი უპირატესობა და საქართველოს აგრარული მეურნეობა

„მიწისა და ხელის მოცდენა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, ჩვენი ფიქრით, დიდი შეცდომაა, სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენ რუსეთში შეგვეტანა იგი ჭირნახული, რომელიც რუსეთის ჰავასა და მიწის მიზეზით, იქ არ მოდის და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ, და რუსეთიდამ პური გვეზიდნა; ამ შემთხვევაში გამორჩენა დიდი იქნებოდა: ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენი სასყიდელი უფრო იაფად დაგვიჯდებოდა და მერე ჩვენი გასაყიდი უფრო მეტს ამოიღებდა. ანუ, უკეთ ვსთქვათ, ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც ეხლა იეფად სასყიდ ჭირნახულს ვახმარებთ, რომ უფრო ძვირფასს რასმე მოვახმაროთ, ორგზით მოგებაში ვიქნებით.“

ილია ჭავჭავაძე



კლასიკური ეკონომიკური თეორიის მთავარმა იდეოლოგმა **ადამ სმითმა** თავის ნაშრომში **„ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“** პირველად განავითარა აზრი იმის თაობაზე, რომ უმჯობესია თითოეულმა გონიერმა ადამიანმა ისეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომელშიც მას აქვს გარკვეული უპირატესობა მეზობელთან შედარებით, ხოლო თავისი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილით კი შეიძინოს ის, რისი საჭიროებაც მას გააჩნია. (შრომითი საქმიანობისადმი ასეთ მიდგომას კარგად ეხმიანება ქართული ანდაზა – პური მეპურეს გამოაცხობინე და ერთი პურიც მიეცი). ეს აქსიომატური დებულება შეფარდებითი (შედარებითი, ფარდობითი) უპირატესობის პრინციპისა, რომელიც, მართლაც, ისტორიულია შრომის დანაწილების, წარმოების სპეციალიზაციის, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების და საქონლის (მომსახურების) ურთიერთგაცვლის სარგებლიანობის შესახებ, ძალაში რჩება თანამედროვე მსოფლიოში.

შეფარდებითი უპირატესობის პრინციპი მეცნიერულად ჩამოაყალიბა კლასიკური ეკონომიკური თეორიის მეორე იდეოლოგმა **დეივიდ რიკარდომ. ა. სმითისა** და **დ. რიკარდოს** თეორიის ძირითადი ამოსავალი დებულება მოკლედ შეიძლება ასე გამოვხატოთ: **შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის თანახმად, თითოეული სახეობის პროდუქტი უნდა აწარმოოს იმ ქვეყანამ, რომელსაც ამ საქონლის წარმოებაზე ნაკლები ალტერნატიული დანახარჯი აქვს სხვასთან შედარებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პრინციპი მართლზომიერია არამარტო ქვეყნების, არამედ ცალკეული ინდივიდების და საოჯახო მეურნეობის მიმართაც.**

შეფარდებითი უპირატესობის დადგენა ხდება ერთი და იგივე საქონლისა და მომსახურების მწარმოებელთა ალტერნატიული დანახარჯების შედარების გზით. შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია მას, ვისაც ნაკლები ალტერნატიული დანახარჯი აქვს იდენტური საქონლის წარმოებაზე (ანუ მას, რომელიც ყველაზე ნაკლებს თმობს (კარგავს) კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების წარმოებისათვის).

ამ კონტექსტში ბუნებრივად ისმება კითხვა: როგორ ვიყენებთ შეფარდებითი უპირატესობის პრინციპს საქართველოს აგრარულ მეურნეობაში? პასუხი ცალსახად უარყოფითია, რაც შესაბამისი ფაქტებითაც დასტურდება. კერძოდ, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ წლებში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენებისათვის უცხოელი სპეციალისტთა მონაწილეობით რამდენიმე პროექტი შემუშავდა. პირველი ასეთი პროექტი Tacis-ის პროგრამის ფარგლებში დამუშავდა 1992-1993 წლებში ფრანგი ექსპერტის, დოქტორ **მიშელ სიგოს** ხელმძღვანელობით. ხსენებულ პროგრამას საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ძირითადად აგებული იყო **შეფარდებითი უპირატესობის** პრინციპზე. მასში გათვალისწინებული იყო მრავალწლიანი ნარგავების, მათ შორის ვაზის, ხეხილის, ჩაის და ა.შ. ფართობის მკვეთრი შემცირება და სამაგიეროდ, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, კარტოფილის, ეთერზეთების, მარცვლეულის, პირუტყვისთვის საკვების და სხვა სასურსათო თუ ტექნიკური კულტურების ფართობის გაზრდა. **პროექტი, რომელიც მრავალწლიანი ნარგავების ფართობის საშუალოდ 2-2,5-ჯერ შემცირებას ითვალისწინებდა, მიუღებელი აღმოჩნდა ქვეყნისთვის, რომელიც მანამდე სწორედ ვაზის, ხეხილის, სუბტროპიკული და სხვა სამხრეთული კულტურების წარმოებაზე იყო სპეციალიზებული.**

2001-2004 წლებში საქართველოში ამოქმედდა მსოფლიო ბანკის პროექტი (IFAD), რომლის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ **ხორბალი**

და სხვა მარცვლეული კულტურები შემოსავლიანობის მიხედვით მნიშვნელოვნად აგებს ბოსტნეულთან, ბაღჩეულთან, თხილთან და სხვა კულტურებთან, რადგან მათ (მარცვლეულ კულტურებს) შეფარდებითი უპირატესობა არ გააჩნიათ.

დაბოლოს, USAID-ის დაფინანსებით ქვეყანაში 2006-2007 წლებში დამუშავდა სურსათისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2015 წლამდე პერიოდისათვის, რომელშიც ვკითხულობთ (215 გვ.): **„საქართველოში მარცვლოვანებს და ზეთოვან კულტურებს არ გააჩნიათ არც ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილების საშუალება და არც მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი. სამაგიეროდ, მოგებიანი იქნება ხილის, ბოსტნეულის, რძის, თევზისა და ხორცის პროდუქტების წარმოება“.** აქვე ხაზგასმულია, რომ საქართველოში არსებობს კარგი შესაძლებლობები ისეთი პროდუქტების საწარმოებლად, რომელთა ბაზრები იზრდება და მოწოდებაც დეფიციტურია, მაგალითად, **კენკრა, ეთერზეთები, სამკურნალო მცენარეები და სუნელები, გამშრალი ხილი და ბოსტნეული, ასევე ორგანული პროდუქტების ფართო ასორტიმენტი.** ამასთან, მათ წარმოებაში ინვესტიციები უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას ექნება კონკურენტული (შეფარდებითი) უპირატესობა შედარებით ხანგრძლივვადიან პერიოდში.

ობიექტურ კრიტიკას და შესაბამის რჩევებს არც სხვა უცხოელი ექსპერტები იშურებენ. კერძოდ, „Tacis“-ის პროექტის **(„საქართველოში აგრობიზნესბანკის შესაძლებლობათა გაძლიერება“)** ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პროფესორი **ქრისტოფერ კორდონიე** თავის სტატიაში **„საქართველოს სოფლის მეურნეობა და სოფლის საზოგადოების განვითარების პერსპექტივები. სამოქმედო გეგმის მონახაზი“** (ჟურ. **„საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“**, 2005 წ., დეკემბერი) აღნიშნავს, რომ **„სამწუხაროდ, ბოლოდროინდელი ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში წინააღმდეგობაში მოდის მისივე საერთაშორისო კომერციულ სტრატეგიასთან. ისეთ პროდუქტებზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად, რომლებშიც საქართველოს შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია და დამატებული ღირებულება შეუძლია შექმნას (ხილი, ღვინო და ა.შ.), ქართველი ფერმერები ძირითადად არაპერსპექტიულ პროდუქციას აწარმოებენ, როგორიც ხორბალი ან კარტოფილია და რომელშიც ქვეყანას შეფარდებითი უპირატესობა არ გააჩნია“** (გვ. 81).

ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელი 2 საუკუნის წინათ დადგენილი ჭეშმარიტება შეფარდებითი უპირატესობის შესახებ, რომელიც პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში რეალური ეკონომიკის დარგებში წარმატების მიღწევის ძირითად გარანტს წარმოადგენს? იქნებ, მიზეზი შეფარდებითი უპირატესობის დადგენის სირთულეა. არა გვგონია, **რადგან დარგების თუ კულტურების რანჟირება შემოსავლიანობის დონის მიხედვით არ წარმოადგენს რაიმე სირთულეს. აქ მთავარია, თითოეულმა საქონელმწარმოებელმა იცოდეს, რას თმობს კულტივირებული დარგის თუ კულტურის სანაცვლოდ, ანუ, რამდენად პასუხობს მისი მეურნეობრივი საქმიანობა შეფარდებითი უპირატესობის პრინციპს.** ჩვენი აზრით, მთავარი მიზეზი უფრო მამაპაპური ტრადიციებისადმი ჩვენი შეუვალი ერთგულებაა. სხვაგვარად როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ სოფლის (თემის), რაიონის, ზონის თუ მხარის მასშტაბით აგროსაწარმოში თუ ოჯახურ მეურნეობაში ძირითადად ერთიდაიგივე სასოფლო-სამეურნეო კულტურებია გაადგილებული: კერძოდ, **კახეთში ვაზი (თუმცა, ბოლო პერიოდში მას გაუჩნდა ალტერნატივა „ვენახის ატმის“ და საზამთროს სახით. არაა გამორიცხული მოკლე ხანში მას ზეთისხილიც ჩაენაცვლოს), ხორბალი, მზესუმზირა, ბაღჩეული, ბოსტნეული და ა.შ. ქართლში ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი, ბაღჩეული და სხვა, დასავლეთ საქართველოში ვაზი, სიმინდი, სოია, სუბტროპიკული კულტურები და ა.შ. ფაქტია, რომ საკარმიდამო ნაკვეთებზე ოჯახური მეურნეობები აწარმოებენ ყველა სახის კულტურას, რომლის მოვლა-მოყვანაც კი შეიძლება მოცემულ ზონაში თუ მიკროზონაში.** ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღეისთვის სოფლად თვითდასაქმებულთა ძირითადი ამოცანა სურსათით (მათ შორის ხილით, ბოსტნეულით, კარტოფილით, მარცვლეულით, მეცხოველეობის პროდუქტებით და ა.შ.) თვითუზრუნველყოფაშია, მაგრამ ეს ამოცანა, ჩვენი აზრით, უფრო იოლად გადაწყდება სასოფლო წარმოებაში შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის გამოყენების და წარმოებული პროდუქციის ურთიერთგაცვლის (ვაჭრობის) პირობებში. სხვაგვარად საოჯახო მეურნეობათა საქონლიანობის დონე მუდამ დაბალი იქნება მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მსჯელობა, მართალია, საოჯახო მეურნეობებს შეეხებოდა, მაგრამ ზუსტად იგივე პრინციპი მოქმედებს ქვეყნებს შორის მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვინაიდან ყველა ქვეყანას საკუთარი ეროვნული ვალუტა გააჩნია შეფარდებითი უპირატესობის და ურთიერთვაჭრობის სარგებლიანობის დონის დასადგენად, როგორც ცნობილია ფარდობით ფასებს იყენებენ (ეს არის ფასი, როცა ერთი საქონლის ფასი გამოხატულია მეორე საქონლის ნატურალურ ერთეულში და ამგვარად, ამ საქონლის წარმოების ალტერნატიულ დანახარჯებს გვიხასიათებს). ასე მაგალითად, **თუ რუსეთის ფედერაციაში და საქართველოში წარმოებული ხორბლისა და ხილის ღირებულებას ფარდობით ფასებში გამოვსახავთ, აღმოჩნდება, რომ ხილის ტონებში გამოსახული 1 ტ. ხორბლის ფასი (ანუ ალტერნატიული დანახარჯი) რუსეთში რამდენჯერმე ნაკლებია, ვიდრე საქართველოში, რაც ცხადყოფს, რომ რუსეთს (საქართველოსთან შედარებით) აქვს შეფარდებითი უპირატესობა ხორბლის წარმოებაში. რაც შეეხება ხილს, აქ პირიქით – საქართველოს აქვს შეფარდებითი უპირატესობა რუსეთთან შედარებით, რადგან ერთი ტონა ხილის საწარმოებლად ბევრად ნაკლებ ხორბალზე უწევს უარის**

თქმა. ამ პრინციპის მიხედვით რუსეთმა ხორბალი უნდა აწარმოოს (რადგან ხორბლის ალტერნატიული დანახარჯი უფრო ნაკლებია, ვიდრე საქართველოში), ხოლო საქართველომ კი პირიქით – ხილი (რადგან ხილის ალტერნატიული დანახარჯი უფრო ნაკლებია, ვიდრე რუსეთში).

როგორც ვხედავთ, შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის მოქმედება ვლინდება როგორც ნატურალურ, ასევე ფულად თანაფარდობაში. მაგრამ იმის გამო, რომ მეწარმის გადაწყვეტილებაზე განმსაზღვრელ გავლენას ფასწარმოქმნითი ფაქტორები ახდენს (მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობიდან გამომდინარე), პროდუქტების გაცვლითი ურთიერთობა განიხილება არა ნატურალურ, არამედ ფულად ერთეულებში.

შეფარდებითი უპირატესობის პრინციპი წარმოადგენს მნიშნელოვან ფაქტორს, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს სხვადასხვა დარგისა თუ პროდუქტების პოტენციურ შემოსავლიანობაზე. მისი გათვალისწინება საქონელმწარმოებლისათვის განსაკუთრებით აუცილებელი ხდება მაშინ, როცა მის წინაშეა მრავალი ალტერნატივა და მან უნდა გადაწყვიტოს რომელი დარგი (კულტურა) შეარჩიოს და რა რაოდენობის პროდუქტი აწარმოოს თითოეულისგან.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას მთელი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი კულტურების (დარგების) წარმოება-განვითარებას, რომლითაც შეგვეძლება „საქვეყნო და შინაურ ვაჭრობაში თავის გამოჩენა და ეკონომიკური სარგებლის მიღება“ (ი. ჭავჭავაძე).

უკანასკნელ წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში სტაბილური ხასიათის უკუსვლა აღინიშნება. პირველ ყოვლისა, ეს არის ნათეს-ნარგავი ფართობების და შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პერმანენტული შემცირება (მიუხედავად ამისა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია ასახულია მხოლოდ მიმდინარე საბაზრო ფასებში და ზრდის ტემპიც საკმაოდ **„შთამბეჭდავია“**), **სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურიდან ისეთი დარგებისა და კულტურების გაქრობა, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ ექსპორტის საგანს წარმოადგენდა, და სხვა. ყოველივე აღნიშნულმა, განაპირობა სურსათის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობათა ზრდის ტემპების მკვეთრი შეუსაბამობა და ძირითადი სასურსათო პროდუქტებით ქვეყნის მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის დონის მინიმუმამდე შემცირება.**

თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს იმპორტულ სურსათზე მოთხოვნის პერმანენტული ზრდისა და საქართველოს საგადასახდელო ბალანსის უკიდურესი დაძაბულობის პირობებში, ქვეყანაში არ ტარდება რაიმე ისეთი ღონისძიება, რომელიც დარგის უკუსვლას შეაჩერებს და აგრარულ წარმოებას ქვეყანაში განვითარების იმპულსს მისცემს.

დღეს ბევრი საუბრობს რუსეთის ბაზრის დაბრუნების შესაძლებლობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ქართულმა პროდუქტმა შესაძლოა ვერც ფასით და ვერც ხარისხით სათანადო კონკურენცია ვერ გაუწიოს უცხოურ ანალოგებს, რადგან ისინი მაღალი დონით სუბსიდირებულია. რაც შეეხება დაუცველ ადგილობრივ ბაზარს, აქ კონკურენცია ახლო მომავალში კიდევ უფრო გამწვავდება, რადგან ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (გზები, ტრანსპორტის სიმრავლე და ა.შ.) იმპორტულ პროდუქციას იოლად შეღწევადს გახდის საქართველოს ყველა რაიონსა და შორეულ სოფლებშიც კი, რაც ადგილობრივ აგროწარმოებას კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. აგროსასურსათო სექტორი უფრო დაკნინდება, ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში უმუშევრობის მაღალი დონის გამო, სოფლად თვითდასაქმებულების დიდ არმიას მხოლოდ ერთი გამოსავალი დარჩება – გააგრძელოს იძულებითი შრომა მიწაზე, რომელიც იმდენად დაბალმწარმოებლურია, რომ ვერ უზრუნველყოფს შემოსავლებს საარსებო მინიმუმის დონეზეც კი.

ამდენად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ **საქართველოში უმუშევრობისა და სიღარიბის ძირითადი მიზეზი აგრარული წარმოებისადმი ხელისუფლების უყურადღებო დამოკიდებულებაა. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნის აშშ-ის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველს სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოადგენს.** ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ აქსიომატურ დებულებას იმის თაობაზე, რომ ქვეყანას, რომელსაც გააჩნია განვითარებული სოფლის მეურნეობა, ე.ი. აქვს სათანადო მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, მინერალურ სასუქებზე, მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებებზე, კომბინირებულ საკვებზე და წარმოების სხვა საშუალებებზე, რომელთა მიწოდება მრეწველობის შესაბამისმა დარგებმა უნდა უზ-



რუნველყოს, ანუ სოფლის მეურნეობის განვითარება ობიექტურად მოითხოვს სხვადასხვა მომსახურე დარგების განვითარებასაც. მეორე მხრივ – განვითარებული სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს საჭირო ნედლეულით კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ისეთ საწარმოებს, როგორიცაა: ღვინისა და ხილ-ბოსტნეულის საკონსერვო ქარხნები, წისქვილკომბინატები, ელევატორები, ჩაის ფაბრიკები, ხორცისა და რძის კომბინატები და სხვა, რომელთა მიერ წარმოებულ პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე აქვს შესაბამისი მოთხოვნა. ამგვარად, იკვრება წრედი – **აგრარული პროდუქციისა და ნედლეულის წარმოება, პირველადი სამრეწველო გადამუშავება და რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, ადვილი დასათვლელია, რამდენად შემცირდებოდა საქართველოში უმუშევრობის დონე, რამდენად გაიზრდებოდა თითოეული სახის საკვები პროდუქტით თვითუზრუნველყოფის დონე და რა თანხით შეუმცირდებოდა სურსათის იმპორტი ქვეყანას, რომ მოთხოვნის ადეკვატური რაციონალური აგრარული პოლიტიკა და ნორმალურად ფუნქციონირებადი აგროსასურსათო სექტორი გააჩნდეს. ფაქტია, რომ ისედაც მცირემიწიან საქართველოში დამუშავებას დაქვემდებარებული მიწის თითქმის ნახევარი დღეს არ მუშავდება (მიტოვებულია) და აგრარული პროდუქციის წარმოების პოტენციური შესაძლებლობა ერთი მესამედითაც არაა გამოყენებული.** რის გამოც იზრდება უმუშევრობის დონე და ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი. აქედან დასკვნა: დღეს საქართველოს არა იმდენად იმის ცოდნა სჭირდება, რომელ რაიონსა თუ მხარეში სასოფლო-სამეურნეო წარმოების როგორი სპეციალიზაციაა, არამედ იმისა, სად როგორი უნდა იყოს ის მუდმივად ცვლად საბაზრო გარემოში. ბუნებაში მუდმივი არაფერია და ერთხელ დადგენილი სპეციალიზაციაც ვერ იქნება მუდმივი, მით უფრო, თუ მას ქვეყნის მასშტაბით საბჭოთა პერიოდში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების საქონლიანობის დონე უდევს საფუძვლად.

აგრარულ სექტორში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად მიგვაჩნია, რომ **უახლოეს პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული უწყებების მონაწილეობით უნდა დამუშავდეს და ამოქმედდეს აგროსასურსათო სექტორის აღორძინების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელშიც დარგების (კულტურების) განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში დაფუძნებული იქნება შეფარდებითი უპირატესობის პრინციპზე. ამასთან, ვიდრე რომელიმე დარგზე თუ კულტურაზე შევჩერდებით, საჭირო იქნება შიგა თუ გარე სასურსათო ბაზრის საფუძვლიანი მარკეტინგული შესწავლა, ანუ, დადგენა იმისა, რა მიეწოდება მას ჭარბად და რა პროდუქტებზეა შედარებით დეფიციტი.**

მას შემდეგ, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურები შეირჩევა, საჭიროა დავადგინოთ, გვექნება თუ არა კონკურენტული (ფარდობითი) უპირატესობა გამიზნული პროდუქტების წარმოებაში შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ კუთხით უნდა შეფასდეს არა მარტო ჩვენი სოფლის მეურნეობის ტრადიციულად მაპროფილებელი დარგები, არამედ ისეთებიც, რომლებიც დღემდე ჩრდილში არიან მოქცეულნი. ამ მიმართულებით არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანი იქნება. მათ შორის მოხვდება ისეთი კულტურები, როგორიცაა: **ტუნგო, ბალახოვანი, ეთერზეთოვანი კულტურები, დაფნა, სამკურნალო მცენარეები, გამშრალი ხილ-ბოსტნეული** და ა.შ. დარგის აღორძინების სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში პერსონალური მიდგომით უნდა შეირჩეს ექსპორტზე და იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებული დარგები, რომელთაც გრძელვადიან პერსპექტივაში შეფარდებითი უპირატესობა ექნებათ. ყველა შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს **მაღალხარისხოვანი და უნიკალური ღვინოების წარმოებაზე, რაც, თავის მხრივ, მაღალხარისხოვანი და უნიკალური ვაზის ჯიშების გამრავლებას და შესაბამის ზონებში (მიკროზონებში) გაადგილებას მოითხოვს. ასეთივე მიდგომით უნდა იქნეს განხილული მეჩაიეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვა დარგები.** მიგვაჩნია, რომ მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქტების (მათ შორის, ორგანული) წარმოება და შესაბამისი მარკეტინგი შეიძლება გახდეს ადგილობრივი ბაზრის დაბრუნების და მსოფლიო ბაზარზე კუთვნილი სეგმენტის დაკავების გარანტი. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია მსოფლიო სასურსათო ბაზრის კონიუნქტურა, საკვებ პროდუქტებზე ფასების პერმანენტული ზრდა და სურსათით თვითუზრუნველყოფის გარანტიებიც.

საბედნიეროდ, საქართველოს ჰავა, ნიადაგი და კლიმატი ბევრი აგროკულტურისათვის ქმნის შეფარდებითი უპირატესობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის – წარმოებული პროდუქტის ხარისხობრივ პარამეტრს, რომლის გამოყენება დღემდე ვერ ხერხდება. შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ მაშინ, თუ გაადგილებული კულტურის (ჩაი, ხეხილი, მარცვლეული და სხვა) ჩანაცვლება სხვა კულტურით ნიადაგურ-კლიმატური პირობების გამო პრაქტიკულად შეუძლებელია, აგრეთვე საქართველოს მთიანეთში, სადაც მიწის სავარგულს გარდა პროფილური ფუნქციისა სხვა დატვირთვა გააჩნია (სასაზღვრო, მესაზღვრეთა საკვებით უზრუნველყოფა, მეცხოველეობის განვითარება, რომელიც მთიანეთის აღორძინებისა და თავდაცვის უპირველესი პირობაა და ა. შ.). თუმცა, არსებობს დაუმუშავებელი (მიტოვებული, არაპრივატიზებული) ფართობის დიდი ოდენობა, რომელზედაც შეიძლება არატრადიციული კულტურების გაადგილება. ამაზე ნათლად მეტყველებს კახეთში უკანასკნელ წლებში ფეხმოკიდებული ისეთი კულტურები, როგორიცაა: **„ვენახის ატამი“, თხილი, ბაღჩეული, ზეთისხილი** და სხვა, რომელთაც შეფარდებითი უპირატესობა გააჩნიათ (ანუ, მათი მეპატრონეები წარმოების ტრადიციული სპეციალიზაციის შეცვლით სხვა თანაბარ

პირობებში უფრო მეტ სარგებელს მიიღებენ).

ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება, ჩვენი აზრით, მეტად საჭირო და გარდაუვალი აუცილებლობაა.

რა უნდა გაკეთდეს ამ კუთხით საწყის ეტაპზე? **რამდენადაც საქართველოს აგრარული წარმოების საფუძველს დღეისთვის საოჯახო მეურნეობები წარმოადგენს, საჭიროა მათთან კვალიფიციური სპეციალისტების მიერ სათანადო ახსნაგანმარტებითი კონსულტაციების ჩატარება, თუმცა, გადამწყვეტი როლი ამ საქმეში, ჩვენი აზრით, ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს. მხედველობაში გვაქვს სოფლად ინდივიდუალურ საქონელმწარმოებელთა სხვადასხვა მიმართულების სასოფლო კოოპერატივებში ნებაყოფლობითი გაერთიანების სტიმულირება, რაც ადვილად მიიღწევა ყველა ქვეყანაში კოოპერატივებისათვის საგადასახადო და სხვა შეღავათების დაწესების საშუალებით.**

შრომისა და წარმოების ორგანიზაციის პროგრესული სამართლებრივი ფორმების დანერგვა სოფლად და აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერა შექმნის შესაბამის პირობებს საქართველოს აგროწარმოების დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაციისათვის შეფარდებითი უპირატესობის პრინციპისა და მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით.

დასასრულ, **თანამედროვე მსოფლიოში კონკურენცია მიმდინარეობს არა მარტო სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელებს შორის, არამედ ეროვნულ მეურნეობათა მოდელებსა და ეკონომიკის დარგთა ორგანიზაციისა და გაძღოლის ფორმებს შორისაც, რათა მიღწეული იქნას ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობა. ის, რაც ოპტიმალურია ჩინელისათვის, ან ამერიკელისათვის, შეიძლება ჩვენთვის არ იყოს ოპტიმალური. ჩვენ გვაქვს განსხვავებული ეროვნული სპეციფიკა (ხასიათი, ჩვევები), რომელიც განსაკუთრებული თავისებურებებით წარმართავს ერის ყოფაცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, მექანიზმები ადამიანთა ურთიერთობის რეგულირებისა – ფსიქოლოგიური, ტრადიციისმიერი, ღირებულებათა შკალით განსაზღვრული, კულტურული, მიწასთან დამოკიდებულებისა და სხვა.** გაგვაჩნია განსხვავებული გეოპოლიტიკური გარემო, რესურსული პოტენციალი, ბიოგეოკლიმატური პირობები, საიდანაც მომდინარეობს საკვების შემადგენლობა, კვების თავისებურებები, კვების ხასიათი (კვების ტრადიცია) და ა.შ. რაც, ბუნებრივია, მოითხოვს აგროსასურსათო სექტორის რეფორმირებისა და განვითარების განსხვავებულ მიდგომას, მის რეალიზაციას ქართული (ეროვნული ტრადიციების) სპეციფიკის გათვალისწინებით, და არა უცხოეთის რომელიმე ქვეყნის (თუნდაც ძალიან წარმატებულის) გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა-გამეორებას.

საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში (რასაც განაპირობებს მრავალფეროვანი ბიოგეოკლიმატური პირობები, ურთულესი ვერტიკალური ზონალობა, ადამიანის კვებისათვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა), მცირე სიდიდის ფერმათა სიჭარბე არ არის საგანგაშო, რამდენადაც ქვეყნების უმრავლესობაში მათი ოპტიმალური სიდიდე ადგილობრივი ბიოგეოკლიმატური პირობებით, კულტურათა მოვლა-მოყვანის სპეციფიკურობითა და აგრომრავალდარგოვნებით არის განპირობებული. მცირე აგრომეურნეობათა ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი გზა, მიწაზე მეურნეობრიობის კოოპერატიული ფორმის დაფუძნებაა. მეურნეობრიობის ეს ფორმა გარკვეულწილად ხსნის როგორც მიწის დამუშავების, ასევე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემებს და საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის უფრო მაღალი დონის მქონე სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების შექმნას.

ჩვენ უნდა აღვადგინოთ და განვავითაროთ აგროეკოლოგიური წარმოების ის ტრადიციები და უნიკალური წესები, რომლებიც თანხვედრაში მოვა თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ეს საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ უხვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. ასეთი მიდგომა გამართლებულია, მით უმეტეს, რომ უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები და გარემო, ხალხის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორების კომპლექსი – ქმნის ქართული აგრარული მეურნეობის შედარებით უპირატესობას.



პაატა კოლუაშვილი,
თსუ პროფესორი, ემდ
გიორგი ზიბზიბაძე,
აეი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი